

გაკვეთილი 1

ფინანსურ რესურსებზე

ხელმისაწვდომობა

თანამედროვე საბანკო სისტემა

ნაწილი 1

## თანამედროვე საბანკო სისტემა

პირველი ქართული ბანკი საქართველოში 1875 წელს ქთბილისში ილია ჭავჭავაძის თაოსნობით დაფუძნდა-თავადაზნაურთა საადგილმამულო ბანკი. შემდეგი იყო ქუთაისში 1876 წელს ნიკო დოლობერიძის თაოსნობით.

1919 წლის 13 დეკემბერს საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის მიერ მიღებულ იქნა “კანონი სახელმწიფო ბანკის დაარსების შესახებ”, რითაც საქართველოში მარეგულირებელ და ეროვნული ფულად-საკრედიტო პოლიტიკის განმახორციელებელი ორგანოს კანონიერ ფუნქციონირებას ჩაეყარა საფუძველი. კანონს თან ერთვისდა წესდება, რომელშიც საქართველოს სახელმწიფო ბანკის დანიშნულება, წყობის სტრუქტურა საწესდებო კაპიტალი და უფლებამოსილებები იყო განმარტებული. საქართველოს სახელმწიფო ბანკმა ფუნქციონირება 1920 წლიდან დაიწყო, რომელმაც 1921 წლის 21 თებერვლამდე იარსება. საქართველოს დამოუკიდებლობის დაკარგვის შემდეგ სახელმწიფო ბანკმა ფუნქცია დაკარგა და მან არსებობა შეწყვიტა.

დღევანდელმა ქართულმა საბანკო სისტემამ არსებობა 1991 წლიდან დაიწყო, როდესაც ჩამოყალიბდა საქართველოს ეროვნული ბანკი, უკვე მეთრედ და დაიწყო საბანკო ლიცენზიების გაცემა. 1993 წლისათვის საქართველოში უკვე რეგისტრირებული იყო 250-მდე კომერციული ბანკი. საბანკო ლიცენზია სულ რაღაც 500 აშშ დოლარი ღირდა.

1996 წ. 23 თებერვლის „კომერციული ბანკების საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად, ბანკი შეიძლება შეიქმნას სააქციო საზოგადოების ან შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმით. გარდა ზემოაღნიშნულისა, კანონი განსაზღვრავს:

- ა) ლიცენზირების საკითხს;
- ბ) აწესრიგებს ბანკის მფლობელობისა და მართვის საკითხს;
- გ) განსაზღვრავს საბანკო საქმიანობის განხორციელების ზოგად პრინციპებს (საოპერაციო მოთხოვნები);
- დ) უზრუნველყოფს ანგარიშებს, აუდიტს, ანგარიშგებასა და ინსპექციას;
- ე) განსაზღვრავს დარღვევებსა და სანქციებს;
- ვ) აწესრიგებს დროებითი ადმინისტრაციისა და ლიკვიდაციის საკითხებს.

ბანკი საქართველოში საბანკო საქმიანობას (ფულადი ანაბრების ან გადახდის სხვა საშუალებების მოზიდვა, კრედიტების გაცემა) ვერ განახორციელებს, თუ ეროვნული ბანკი მის სახელზე არ გასცემს ლიცენზიას.

საბანკო ლიცენზიის მისაღებად ბანკები საქართველოს ეროვნულ ბანკს მიმართავენ წერილობით, ამ უკანასკნელის მიერ განსაზღვრული წესებისა და ფორმის მიხედვით. შუამდგომლობას თან უნდა ერთვოდეს:

- ა) წესდებისა და სხვა სადამფუძნებლო დოკუმენტები

ბ) ინფორმაცია ბანკის მმართველობისა და ხელმძღვანელობის კვალიფიკაციისა და საბანკო სფეროში მუშაობის გამოცდილების შესახებ;

გ) ბანკის ბიზნეს-გეგმა;

დ) ბანკის თითოეული პარტნიორის სახელი, გვარი, საცხოვრებელი ადგილი (იურიდიული პირის მისამართი) და საქმიანობა ან პროფესია, მათი აქციების (წილის) ოდენობის მითითებით;

ე) მოსაკრებელი, რომელიც ჩაირიცხება ეროვნული ბანკის შემოსავალში.

ლიცენზია გაიცემა შუამდგომლობის მიღების დღიდან არა უგვიანეს ერთი თვის ვადისა. ლიცენზიის გაცემისას, ძირითადი მოთხოვნაა რომ ბანკის განადგობული კაპიტალი განცხადებულის 50%-ს შეადგენდეს. საბანკო ლიცენზიები გაიცემა განუსაზღვრელი ვადით და მათი სხვისთვის გადაცემა აკრძალულია.

კანონის მიხედვით, ეროვნული ბანკი მომსახურე ბანკებზე ძირითადად ორი სახის საბანკო ლიცენზიას გასცემს, ესენია: შიდა ლიცენზია და გენერალური ლიცენზია. შიდა ლიცენზია ბანკს უფლებას აძლევს აწარმოოს ყველა საბანკო ოპერაციები საქართველოს ტერიტორიაზე, ხოლო გენერალური ლიცენზია - როგორც საქართველოში, ასევე მის ფარგლებს გარეთ.

უცხოეთის ბანკის შვილობილ ორგანიზაციაზე ან ფილიალზე ლიცენზიები გაიცემა მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც თავად ბანკი სათაო დაწესებულების ადგილსამყოფელ ქვეყანაში უფლებამოსილია მოიზიდოს ფულადი ანაზრები ან გადახდის სხვა საშუალებები.

საბანკო ლიცენზია შეიძლება გამოთხოვილ იქნას მხოლოდ საქართველოს ეროვნული ბანკის გადაწყვეტილებით:

ა) ბანკის მოთხოვნის საფუძველზე;

ბ) ეროვნული ბანკის მიერ დამტკიცებული ეკონომიკური ლიმიტებისა და ნორმატივების დარღვევისას;

გ) ბანკმა არ გამოიყენა საბანკო ლიცენზია მისი ძალაში შესვლიდან 6 თვის განმავლობაში; ბანკს არ აქვს მინიმალური საწესდებო კაპიტალი ან რეზერვები, ან მან დაკარგა კრედიტორების ნდობა; ბანკის პარტნიორმა სხვას დაუთმო ან სხვა გზით დაკარგა თავისი წილი და ამის თაობაზე ორი კვირის ვადაში არ ეცნობა ეროვნულ ბანკს; ბანკის პარტნიორებმა გადაწყვიტეს ბანკის გაუქმება ან ბანკმა, როგორც იურიდიულმა პირმა, შეწყვიტა ფუნქციონირება;

დ) ეროვნული ბანკი ვალდებულია შეუჩეროს ან გაუქმოს ლიცენზია უცხოური ბანკის ფილიალებს, თუკი სათაო ბანკს მის ადგილსამყოფელ ქვეყანაში სათანადო ოპერაციების წარმოების უფლება ჩამოერთვა.

როგორც ზემოთ უკვე აღინიშნა, ლიცენზია გაიცემა განუსაზღვრელი ვადით და მასში მითითებულია ის საბანკო ოპერაციები, რომლებიც ბანკმა უნდა განახორციელოს; კერძოდ, ბანკებისათვის ნებადართულია საქმიანობის მხოლოდ ქვემოჩამოთვლილი სახეობები:

ა) როგორც პროცენტის, ისე უპროცენტო ფულადი ანაზრების (ვადიანი ანაზრები, ანაზრები მოთხოვნები ან სხვა სახის) ან გადახდის სხვა საბუთების მოზიდვა;

ბ) კრედიტების გაცემა, სამომხმარებლო, საიპოთეკო, საბლანკო და სხვა კრედიტების ჩათვლით; ფაქტორინგული ოპერაციები, რეგრესის უფლებით და ამ უფლების გარეშე; კომერციულ გარიგებათა დაფინანსება, ფორფეტირების ჩათვლით.

გ) ყიდვა-გაყიდვა თავიანთ ხარჯზე ან კლიენტთა ხარჯზე (მათ შორის, როგორც გარანტისა): ფულადი საბუთების (ჩეკების, გადასაყვანი თამასუქებისა და სადეპოზიტო სერთიფიკატების ჩათვლით); ფიუჩერსებისა და ოპციონების სავალო ინსტრუმენტებით ან საპროცენტო განაკვეთებით; სავალუტო და საპროცენტო ინსტრუმენტებისა, სავალო საბუთებისა;

დ) ფულადი გადარიცხვებისა და სალაროს ოპერაციების განხორციელება;

ე) უცხოური ვალუტის ყიდვა-გაყიდვა, მათ შორის ფიუჩერსული კონტრაქტების ფარგლებში, ამასთან, მხოლოდ ეროვნული ბანკის ლიცენზიებით;

ვ) გადახდის საშუალებების გამოშვება და მათი მიმოქცევის ორგანიზება (საგადასახადო ბარათების, ჩეკებისა და საბანკო ტრასტების ჩათვლით);

ზ) საშუამავლო მომსახურება ფულად ბაზარზე;

თ) კლიენტის დავალებით, ნდობით სატრასტო და ფიდუციალური ოპერაციების განხორციელება; სახსრების მოზიდვა და განთავსება; ფასიანი ქაღალდების მართვა;

ი) ფასეულობის შენახვა და აღრიცხვა (ფასიანი ქაღალდების ჩათვლით);

კ) ინვესტორთა ფასიანი ქაღალდების პორტფელის მართვა და მომსახურება, როგორც მრჩევლის, საფინანსო აგენტის ან კონსულტანტისა;

ლ) საკრედიტო საცნობარო მომსახურება;

მ) ზემოჩამოთვლილ თითოეულ საქმიანობასთან დაკავშირებული მომსახურება.

საქართველოს პრაქტიკისა და ზემოჩამოთვლილი ფუნქციებიდან გამომდინარე, ჩვენს ქვეყანაში ძირითადად უნივერსალური სახის საბანკო დაწესებულებები ფუნქციონირებენ. ე. ი. ასრულებენ კანონით გათვალისწინებულ ყველა საბანკო ოპერაციებს.

კომერციული ბანკის იურიდიულ და ფიზიკურ პირებთან ურთიერთობა ძირითადად გამოიხატება საბანკო მომსახურების განხორციელებაში, როგორებიცაა: ანგარიშების გახსნა და მომსახურება, სახსრების განთავსება (დაკრედიტება), საბანკო გარანტიების გაცემა, ანაზღაურების მიღება და ა.შ.

საქართველოს ეროვნული ბანკის ინსტრუქციების თანახმად, იურიდიული და ფიზიკური პირებისათვის დაშვებულია სხვადასხვა ბანკში რამდენიმე ანგარიშის გახსნა. ბანკი ანგარიშის გახსნის შესახებ აცნობებს შესაბამის შემოსავლების სამსახურს. აღნიშნული წესის დაუცველად ანგარიშზე ოპერაციის წარმოება იწვევს ბანკის დაჯარიმებას

ფიზიკური პირისათვის ანგარიშის გასახსნელად საკმარისია მის მიერ პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტების წარდგენა. ანგარიშზე საბანკო მომსახურება (უნაღდო და ნაღდი ანგარიშსწორება) ხორციელდება ეროვნული ბანკის „საქართველოში უნაღდო ანგარიშსწორების შესახებ“ ინსტრუქციის შესაბამისად.

მინიმალური რეზერვების პოლიტიკა, ესაა სავალდებულო რეზერვების ნორმატივების დამტკიცება. რეზერვი იქმნება ეროვნულ ბანკში განხორციელებული შენატანებით, რომლის ოდენობაც დგინდება ნორმატიული აქტითა და საბანკო ვალდებულებებთან პროცენტული თანაფარდობით. მინიმალური რეზერვების ცვლილებების გზით, ეროვნული ბანკი ცდილობს გავლენა მოახდინოს კომერციული ბანკების კრედიტუნარიანობაზე. ამით ეროვნული ბანკი აკონტროლებს ეროვნულ მეურნეობაში ფულის მიმოქცევას. მინიმალური რეზერვების საპროცენტო განაკვეთის გაზრდით, ეროვნული ბანკი ზღუდავს ფულის რაოდენობას კომერციული ბანკების ხელში, რაც, თავის მხრივ, ამ უკანასკნელთა კრედიტუნარიანობას ამცირებს და კრედიტებზე საპროცენტო განაკვეთს ზრდის.

რაც შეეხება ოპერაციებს ღია ბაზარზე, ესაა ეროვნული ბანკის მიერ ფულად ბაზარზე ზეგავლენის მოსახდენად ფასიანი ქაღალდების ყიდვა-გაყიდვა. მაღალი კონიუნქტურის (ბაზარზე მოთხოვნისა და მიწოდების მაღალი თანაფარდობა) პირობებში, ეროვნული ბანკი სთავაზობს კომერციულ ბანკებს იყიდონ ფასიანი ქაღალდები, რათა შეამცირონ მათი საკრედიტო შესაძლებლობები. კრიზისის პერიოდში კი, პირიქით - კომერციულ ბანკებს აყენებს ისეთ პირობებში, როცა მათთვის მომგებიანია ეროვნული ბანკისათვის ფასიანი ქაღალდების მიყიდვა.

ეროვნული ბანკის მიერ კომერციული ბანკებისთვის განსაზღვრული ეკონომიკურ ნორმატივებია:

1. საკრედიტო რისკის მაქსიმალური ოდენობა;
2. ერთი კრედიტორის მხრიდან რისკის მაქსიმალური ოდენობა;
3. ერთ მსესხებელზე რისკის მაქსიმალური ოდენობა.

აღნიშნული ნორმატივები უზრუნველყოფს ბანკის პარტნიორობა, მეანაზრეთა და კლიენტთა ინტერესების დაცვას.

### **ბანკი უფლებამოსილია:**

ა) ფლობდეს იურიდიული პირის საწესდებო კაპიტალის არა უმეტეს 20 %-ის შესაბამის წილს, თუ ბანკის წილი თვით ამ ბანკის ხელუხლებელი კაპიტალისა და რეზერვების ჯამური ოდენობის 15 %-ს არ აღემატება;

ბ) ეროვნული ბანკის წერილობითი ნებართვით, ბანკებს შეუძლიათ შექმნან ან შეიძინონ შვილობილი ორგანიზაციები, რომლებიც ეწევიან სხვა სახის საქმიანობას. ნებართვაში თითოეული შვილობილი ორგანიზაციის მიხედვით დათქმული უნდა იყოს საქმიანობის სახეობა, რომლის შესრულებაც მას შეუძლია. ამ შემთხვევაში, შვილობილი ორგანიზაციის საქმიანობა შეზღუდულია ნებართვაში დათქმული საქმიანობის სახეობით;

გ) მიიღოს წილი ბანკის მიერ გაცემული კრედიტის თანხის ასანაზღაურებლად. ამ დროს, ბანკმა უნდა გაასხვისოს წილი ამ უფლების შეძენიდან არა უგვიანეს 6 თვისა. განსაკუთრებულ შემთხვევაში, ეროვნულ ბანკს შეუძლია გააგრძელოს აღნიშნული ვადა; ზემოაღნიშნულ პუნქტებში მითითებული წილის ერთობლივი ღირებულება არ შეიძლება აღემატებოდეს ბანკის ხელუხლებელი კაპიტალისა და რეზერვების ჯამური ოდენობის 50 %-ს.

ბანკების შერწყმა, მიერთება ან გაყოფა შეიძლება მხოლოდ საქართველოს ეროვნული ბანკის წერილობითი თანხმობის მიღების შემდეგ.

თითოეულ ბანკს აქვს საკუთარი წესდება, რომელშიც აღინიშნება მისი საფირმო დასახელება, მისამართი, საქმიანობის მიზანი, სამეთვალყურეო საბჭოსა და დადმინისტრაციის მმართველობის იურისდიქცია და უფლებამოსილებები, საწესდებო კაპიტალის ოდენობა, აქციების სახეობები, მოცულობა და ნომინალური ღირებულება, აგრეთვე, ხმების უფლება, აქციების მფლობელობიდან გამომდინარე. წესდებაში შეტანილი თითოეული ცვლილება ძალას იძენს ეროვნული ბანკის წინასწარი წერილობითი ნებართვის შემდეგ.

თითოეული ბანკის მართვა ხორციელდება შინაგანაწესით, რომელიც განსაზღვრავს:

ა) ბანკში ხელმძღვანელ თანამდებობაზე ასარჩევი და დასანიშნი პირების შესაბამისობას ეროვნული ბანკის მიერ კვალიფიკაციისა და გამოცდილების თვალსაზრისით დადგენილ კრიტერიუმებთან;

ბ) ბანკისა და მისი საოპერაციო ქვედანაყოფების ორგანიზაციულ და მართვის სტრუქტურას;

გ) თითოეული განყოფილების მოვალეობას;

დ) თანამშრომელთა უფლებამოსილებას.

ბანკის მმართველობის უმაღლესი ორგანოა პარტნიორთა საერთო კრება, რომელიც მოქმედებს კანონმდებლობის, წესდების შესაბამისად და ამტკიცებს სამეთვალყურეო საბჭოს, დირექტორატსა და სარევიზიო კომისიას.

სამეთვალყურეო საბჭო უზრუნველყოფს ბანკის საქმიანობის ხელმძღვანელობასა და ზედამხედველობას. კანონითა და წესდებით განსაზღვრულ შემთხვევებში, ბანკის მიერ განხორციელებულ საქმიანობაზე საჭიროა მისი წერილობითი თანხმობა.

დირექტორატი პასუხისმგებელია ბანკის საქმეების მართვასა და ფუნქციების შესრულებაზე.

სარევიზიო კომისია უწესებს ბანკს აღრიცხვისა და სააღრიცხვო კონტროლის შესაბამის წესებს; ახორციელებს დადგენილი წესის დაცვის ზედამხედველობას; ატარებს ბანკის ანგარიშებისა და ბუღალტრული ჩანაწერების რევიზიებს, თვალყურს ადევნებს ბანკის მიმართ გამოსაყენებელი კანონებისა და დადგენილებების დაცვას და მათი დაცვის შესახებ ანგარიშს წარუდგენს სამეთვალყურეო საბჭოს; გასცემს პასუხებს ბანკის სამეთვალყურეო საბჭოს შეკითხვებზე.

სამეთვალყურეო საბჭოს, გამგეობის, სარევიზიო კომისიის წევრების და მუშაობის რეგლამენტაციის საკითხებს აწესრიგებს კანონი.

ბანკის საბჭოს წევრს, მუშაკს, თანამშრომელს, აუდიტორს, აგენტს, კორესპონდენტს, თუ საბჭოს ყოფილ წევრს არა აქვთ უფლება დაუშვან ვინმე კონფიდენციალურ ინფორმაციასთან, გათქვან და გაავრცელონ ასეთი ინფორმაცია ან გამოიყენონ პირადი სარგებლობისათვის; აღნიშნული ინფორმაცია შეიძლება მიეცეს მხოლოდ ეროვნულ ბანკს, მისი ინსპექტორებისა და მის მიერ დანიშნული აუდიტორების ჩათვლით.

ცნობები იურიდიული და ფიზიკური პირების ოპერაციებისა და ანგარიშების შესახებ შეიძლება მიეცეთ თვით ანგარიშთა მფლობელებს, მათ ზემდგომებსა და წარმომადგენლებს.

ასეთი ცნობები საგადასახადო სამსახურებს, სასამართლო და საგამომიებო ორგანოებს მიეცემათ მხოლოდ სასამართლოს გადაწყვეტილებით.

თითოეული ბანკი, სხვა საკრედიტო დაწესებულება და მისი შვილობილი ორგანიზაცია ნიშნავს დამოუკიდებელ, გარეშე აუდიტორს ანგარიშგებისა და სწორად წარმოების, წლიური ანგარიშის შედგენის საქმეში დახმარების აღმოსაჩენად, აგრეთვე, ბანკის საფინანსო საანგარიშგებო საბუთების შესახებ აუდიტორული დასკვნის მისაღებად და ბანკის ან მისი შვილობილი ორგანიზაციის მოსამსახურის ნებისმიერი არაკეთილსინდისიერი მოქცევისა და ორგანიზაციულ-საგანმკარგულებლო ან საოპერაციო საქმიანობაში ნებისმიერი ისეთი დარღვევებისა და ხარვეზების შესახებ ეროვნული ბანკისათვის ინფორმაციის მისაწოდებლად, რომლებმაც შეიძლება ბანკს და მის შვილობილ ორგანიზაციას მატერიალური ზარალი მიაყენონ.

კანონით „საქართველოში კომერციული ბანკების საქმიანობის შესახებ“ დაწესებული ან მის შესაბამისად შემოღებული რიგი მოთხოვნების არაერთგზის ან მუდმივად დარღვევების შემთხვევაში, ეროვნულ ბანკს უფლება აქვს ბანკის ან საკრედიტო დაწესებულებების ოპერატიული მართვა გადასცეს დროებით ადმინისტრაციას, რათა შენარჩუნებულ, გამოსწორებულ ან ნორმალიზებულ იქნას ბანკის ან საკრედიტო დაწესებულების ფინანსური მდგომარეობა.

განსაკუთრებულ შემთხვევაში, როცა საფრთხე ემუქრება მეანაბრეთა ან პარტნიორთა (აქციონერთა) ინტერესებს, ეროვნული ბანკი უფლებამოსილია შეუჩეროს ბანკს აქტიური ოპერაციები. თუ დროებითი ადმინისტრაციის მოქმედების ვადის (განსაზღვრავს ეროვნული ბანკი) განმავლობაში ან მისი დამთავრების შემდეგ აღმოჩნდება, რომ ბანკი გადახდის უნარს მოკლებულია, იგი გამოცხადდება გადახდის უუნაროდ და, კანონის შესაბამისად, მოხდება მისი ლიკვიდაცია.

„კომერციული ბანკების შესახებ“ კანონის მოკლე განხილვის შედეგად, შეგვიძლია კიდევ ერთხელ დავაფიქსიროთ, რომ ბანკი ეს არის დაწესებულება, რომელიც დასაქმებულია ფულადი ანაბრების ან სხვა საგადასახადო საშუალებათა მოზიდვით, აგრეთვე, თავის ხარჯზე კრედიტების გაცემით დაბრუნებადობის, ფასიანობის, უზრუნველყოფის და ვადიანობის პირობით. კანონისა და ნორმატიული აქტების თანახმად, ბანკის საქმიანობა მკაცრად უნდა კონტროლდებოდეს ეროვნული ბანკის მიერ, რაც ბანკის მეანაბრეებს, კლიენტებსა და თვით ბანკის პარტნიორებიც ბანკის არაკეთილსინდისიერი და უკანონო მოქმედებებისაგან დაიცავს.

კომერციული ბანკები, გარდა იმისა, რომ თითქმის ყველა ქვეყანაში ისინი სააქციო საზოგადოებებს წარმოადგენენ (საქართველოში მათი საქმიანობა რეგულირდება „კომერციული ბანკების საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონით), არსებობს რიგი ფაქტორებისა, რის გამოც კომერციულ ბანკებს, სხვა არაფინანსური კომპანიებისგან განსხვავებით, განსაკუთრებული მიდგომა და ანალიზი ესაჭიროება.

---